პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 103 (4613)

28 მაისი, კვირა.

1972 წ.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი შედეგები

წითელი წყაროს ქართული საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი დროულად შეუდგა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი საკავშირო კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადებას. ფიზ.-ულტურული კოლექტივის საბჭოს სხდომაზე დაისახა კონკრეტული ღონისძიება, შეიქმნა ნორმატივების მიმღები კომისია.

პირველმა შედეგებმა ცხადყო, რომ მოსწავლეები პასუხისმგებლობით ეკიდებიან ნორმატივების ჩაბარებას. მაგალითად, მოსწავლეებმა ნ. ბიკაშვილმა, გ. მაძღარაშვილმა, ბ. მანგოშვილმა, ვ. ნასიბოვმა, გ. პოპიაშვილმა, გ. ალხანიშვილმა, ნ. ჯამალაშვილმა, მ. ბიკაშვილმა, ვ. სიმონიშვილმა კარგ შედეგებს მიაღწიეს. მათ კომპლექსის ნორმატივები სამ-ოთხ სახეობაში ვერცხლისა და ოქროს სამკერდე ნიშნებზე ჩაბარეს.

მოსწავლეები თეორიულადაც ემზადებიან.

უ. წყარუბაშვილი.
(ჩვენი კორ.).

წითელი წყარო.

ბევრად გადააჭარბეს

ამიერკავკასიის ენერგეტიკული გიგანტის — ენგურჰესის მშენებლობის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალ საკავშირო კომპლექსს დიდი გულისყურით მოეკიდნენ: შეისწავლეს ახალი მოთხოვნები, თავიანთი შესაძლებლობანი აწონ-დაწონეს და გადაწყვიტეს ნორმატივების ჩაბარება ივნისის ბოლოსთვის მთლიანად დაამთავრონ.

ჩამოყალიბდა ნორმატივების მიმღები ცენტრალური შტაბი, რომელსაც მშენებლობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი რ. ფოფია ხელმძღვანელობს. შტაბის მთავარი მდივანია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ო. ღლონტი. სამშართველოებში უკვე დაიწყო და წარმატებით გრძელდება ნორმატივების ჩაბარება, შექმნილია ასაკობრივი ჯგუფები.

ზუგდიდის „დინამოს“ სტადიონის ბილიკებზე მძლეოსნობის ნორმატივების ჩასაბარებლად თავი მოიყარა 150-ზე მეტმა მშენებელმა. ქალები 60, 100 და 400 მეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, კაცები — 100, 600 და 5000 მეტრზე.

ნორმატივებს ბევრად გადააჭარბეს მოწინავე მუშებმა რ. კოტოვამ, ვ. დმიტრუკმა, გ. ჯახაძემ და სხვ.

დოსაფის ტირში ნორმატივები 50-ზე მეტმა მსროლელმა ჩააბარა.

ბ. ფიფია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

ჩვენი ინტერვიუები

საკუთარი ძალებით

საჩხერის ხე-ტყის დამზადების ბაზის (დირექტორი ა. კლდიაშვილი) მუშაკებმა საკუთარი ძალებით მოაწყვეს კალათბურთის მოედანი. გათვალისწინებულია საშხაპის აგებაც.

* * *

ამ დღეებში „საქსოფლტექნიკის“ საჩხერის რაიონული განყოფილების (მმართველი — საქართველოს სსრ დამსახურებული მექანიზატორი ა. კაციტაძე) მუშა-მოსამსახურეებმაც კალათბურთის კეთილმოწყობილი მოედანი გააკეთეს.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.).

საჩხერე.

ჩვენ ვიმეორებთ

ტულა, 26 მაისი. ადგილობრივ ტრეკზე დიდი ინტერესი გამოიწვია რსფსრ-სა და ჩეხოსლოვაკიის ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდების შეჯიბრებამ.

წარმატებით იასპარეზა ახალგაზრდა ტულელმა გ. მელნიკოვამ, რომელმაც 200 მ სვლით 12,8 წამში დაფარა. ეს შედეგი 0,1 წამით სჯობს ვ. მაქსიმოვას (ტულა) საკავშირო რეკორდს, რომელიც თითქმის 20 წლის წინათ იყო დამყარებული.

ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირის მატჩზე





სურათებზე (ზევიდან ქვევით):

სანამ მეტოქე ფიქრობს...

ა. გიპლისი და ნ. გაფრინდაშვილი პარტიას არჩევენ. მათ თვალს ადევნებს ოსტატი ა. შმიტი.

რიგის ოფიცერთა სახლის „ოქროს დარბაზში“ მოსულნი ყურადღებად ქცეულან.

სანამ დიდ თამაშობს (ნონას პატარა დათოს სულ სხვა საზრუნავი აქვს)...

ვ. ზარგარიანის ფოტოები.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გუშინ

თბილისში, „სინათლის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და დონის როსტოვის ჟურნალისტი ფეხბურთელების გუნდები. გაიმარჯვა თბილისის „ჟურნალისტმა“ — 4:1.

I ადგილზე

ერევანი, 26 მაისი. ერევნის ტბაზე გაიმართა საკავშირო პირადი შეჯიბრება ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში.

ორმოსასმელიანი ბაიდარებით 1000 მეტრზე ტურნირში ყველას აჯობა ნ. გორბაჩოვისა (ბელორუსია) და ვ. კრატასიუკის (საქართველო) დუეტმა — 3.34,2.

მაყურებელს არ სწყინდება

გაფრინდაშვილისა და კუშნირის მატჩს რიგელები ნაკლებად ესწრებიან. არც არიან გასამტყუნარი — მათ არ იციან ქალთა ჭადრაკის „გემო“, არასოდეს ყოლიათ ისეთი ძლიერი მოჭადრაკეები, როგორიც ნ. ალექსანდრია, მ. ტოგონიძე, ვ. კაკაბაძე და სხვა ჩვენი ოსტატები არიან, ჭადრაკის დედოფალზე რომ არაფერი ვთქვათ. სამაგიეროდ, რიგელებს მიხეილ ტალი ჰყავთ!

და მაინც, ჩემპიონისა და პრეტენდენტის ყოველ პარტიაზე ასზე მეტი გულშემატკივარი იყრის თავს. აქ არიან მოხუცები, რომელთაც თვით ე. ლასკერი და ა. ალიოხინი უნახავთ, არიან ახალგაზრდები — ტალთან ერთად უნივერსიტეტში რომ უსწავლიათ, არიან ბავშვებიც, დღეს რომ ეცნობიან ჭადრაკის ანბანს.

რასაკვირველია, მოჭადრაკეებიც მოდიან. ყველა იცნობს მილდა ლაუბერტეს, ერთადერთ საბჭოთა მოჭადრაკე ქალს, რომელსაც მსოფლიოს პირველ ჩემპიონ ვერა მენჩიკთან უთამაშია. უკანასკნელად მილდა მას ბუენოს-აირესში შეხვდა 1939 წელს ქალთა მსოფლიო პირველობაში.

— იმ შეხვედრებს რა დამაგიწყებს, — ამბობს მილდა. — ვერასთან ნათამაშევი პარტიის ჩანაწერი მისი ხელმოწერით ახლაც შენახული მაქვს. ეს პარტია ყაიმით დამთავრდა.

დარბაზში ხშირად არიან ოსტატები ლ. ჰუტმანისი, რომელმაც წლეულს ლატვიის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა, ი. კლოვანი, მ. პეტკევიჩი, ა. შმიტი და სხვ.

მაყურებელს თავი დინჯად უჭირავს: მთავარ არბიტრს ვ. მიკენასს იშვიათად უხდება საქმეში ჩარევა.

შეჩვეული თვალი ადვილად გამოარჩევს მსოფლიო ჩემპიონის თანამემამულეებს, რიგაში მცხოვრებ ქართველებს.

ფოთში კარგად იცნობენ პირველთა-ნრიგოსან მოჭადრაკეს მაყვალა ჩურდულს. ახლა ის რიგაში ცხოვრობს, ერთ-ერთ სამშენებლო კონტორაში მუშაობს და რიგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის III კურსზე სწავლობს.

— ჭადრაკს თუ თამაშობთ? — ვკითხე მაყვალას.

— როგორ არა. ჩვენი ტრესტის გუნდურ პირველობაში ვითამაშე და პირველ დაფაზე ყველას ვაჯობე. დაგვასაჩუქრეს და რესპუბლიკის პირველობაში სათამაშოდაც მიმიწვიეს, მაგრამ, რა ვქნა, ყველაფრისთვის დრო არ მრჩება.

დარბაზში გავიცანი ცოლ-ქმარი ლეონოვები. ისინი საგანგებოდ ჩამოვიდნენ აზოვიდან, რათა მატჩის რამდენიმე პარტიას დასწრებოდნენ.

— ჩემი მეუღლე ტალთან ერთად სწავლობდა, უყვარს ჭადრაკი და ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი არასოდეს ენახა. შვებულების რამდენიმე დღეს რიგაში გავატარებთ, — გვითხრა აზოველმა მანდილოსანმა.

მატჩს ესწრებიან ლატვიის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული ჭადრაკის მოყვარულები. ბავშვები მწყობრად მოდიან — მთელი კლასი. პატარები ჭკვიანად სხედან პირველ რიგში და არავის აწუხებენ.

დიდ ინტერესს იწვევს ერთდროული თამაშის სეანსები მაყურებლებისთვის. სეანსებს ატარებენ როგორც რიგელი ოსტატები, ისე სტუმრები — დიდოსტატი ს. ფლორი, ა. კუშნირის მწვრთნელი, ოსტატი ვ. იურკოვი და სხვ.

მატჩზე მაყურებელს არასოდეს მოსწყინდება.

თ. გიორგაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

რიგა.



გადაილახება თუ არა 21-მეტრიანი ზღვარი?



ᲡᲝᲤᲚᲘᲝ რეკორდსმენმა ბირთვის მკვრელ ქალთა შორის ნადეჟდა ჩიჟოვამ ოლიმპიური სეზონი ბრწყინვალე შედეგებით დაიწყო — ევროპის ჩემპიონატში (დახურული შენობებისთვის) დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 19,41 მ. ერთი წლის წინ, 1971 წლის მარტში, ჩიჟოვამ დამყარა მსოფლიო მიღწევა დარბაზებისთვის — 19,70 მ, იმავე წლის აგვისტოში კი თავისივე მსოფლიო რეკორდი გაიმეორა—20,43 მ. სულ რამდენიმე დღის წინ ჩიჟოვამ სოჭში, სადაც რსფსრ-ს მძლეოსნთა ღია საგაზაფხულო პირველობა ჩატარდა, 20,63 მეტრზე ჭრა ბირთვი და 20 სმ-ით გაუმჯობესა 1969 წელს მის მიერვე დამყარებული მსოფლიო რეკორდი. ასე რომ, საბჭოთა სპორტსმენი კვლავ ოქროს ოლიმპიური მედლის ერთ-ერთი უველაზე ნაღდი პრეტენდენტია.

ᲐᲮᲐᲚᲘ წლის წინ მსოფლიო რეკორდსმენი ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტს ესაუბრა. მაშინ მას არავითარი პირობა არ ნოუცია.

— ოლიმპიურ 1968 წელს გადატანილი დრამა ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, — თქვა მან. — იმ გაზაფხულს ჟურნალისტები მეც „უეჭველ“, „ყველაზე ნაღდ“ პრეტენდენტად მთვლიდნენ. საქმე მართლაც კარგად მქონდა — ღია ცის ქვეშ გამართულ პირველსავე შეჯიბრებებში მსოფლიო რეკორდი 18,67 მეტრამდე გავაუმჯობესე. მე არ მიმაჩნია, რომ მიღწეულმა დამამშვიდა და ყველაფერი ამიტომ მოხდა, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ მარგიტ გუმელის წინაოლიმპიური მიღწევა მართლაც საოცარი იყო — ამ სპორტსმენმა ბირთვი 18,87 მეტრზე ჭრა და პირადი რეკორდი ერთბაშად მეტრით გაუმჯობესა! დრამის ფინალი მექიკოში გათამაშდა: მე წავაგე არა მარტო გუმელთან, რომელმაც იმ დროისთვის ფანტასტიკური შედეგი მოიპოვა, არამედ მის თანაგუნდელ მარიტა ლანგთანაც.

იმ დღიდან ოთხი წელი გავიდა და ამ წლებმა ბევრი სიხარულიც მომიტანა. მეხიკოში შემდეგ გუმელმა ვერც ერთხელ ვეღარ მომიგო, თუმცა ერთხელ მსოფლიო რეკორდიც გაუმჯობესა (20,16 მ). მე ამ შედეგს ახალი რეკორდით ვუპასუხე — 20,43 (ეს ევროპის 1969 წლის ჩემპიონატში მოხდა).

დაიწყო ახალი ოლიმპიური გზაფხული, დაიწყო თითქმის ისე, როგორც ამ ოთხი წლის წინ: გუმელი ჯერჯერობით ჩრდილში რჩება, გრენობლშიც კი არ ჩამოვიდა კონტინენტის ზამთრის პირველობაზე — როგორც მითხრეს, სადღაც მთებში თხილამურებით სრიალებდა. მაგრამ მე ახლა მეტი გამოცდილება მაქვს, უფრო ჭინდახედულად ვიქცევი. მწვრთნელ ვიქტორ ალექსეევთან ერთად გადავწყვიტე, რომ წინასასეზონო მზადების დროს მარტო ფიზიკურ ძალაზე არ მეფიქრა ტექნიკაში ექსპერიმენტებისაც ვაგრძელებდით და გამოუყენებელი რესურსების მიგნებას ვცდილობდით.

● **ახლა, როცა სპორტმა საოცარ სიმაღლეს მიაღწია, ძალა და ტექნიკა მუდამ გადამწყვეტ როლს როდი ასრულებს...**

— გასაგებია. თქვენ გინდათ ფსიქოლოგიური მომზადების ამბავი მკითხოთ. მეხიკოში მე პირველ ყოვლისა ფსიქოლოგიურად წავაგე და, ვფიქრობ ეს ამბავი აღარ გამეორდება. მე და ჩემი მწვრთნელი მზადების ამ მხარეს სხვებზე ნაკლებ ყურადღებას რიდი ვაქცევთ. საინტერესო ამბავი მოხდა გრენობლში, ევროპის ზამთრის პირველობის დროს. სტარტამდე ერთი დღით ადრე გავიგე რომ გდრ-ის სპორტსმენი მარიანა ადამი 19 მეტრის დასაძლევად იყო მზად. ჟურნალისტებს ვუთხარი, ადამს ერთი სანტიმეტრით ვაჯობებ-მეთქი. სექტორში რომ გავედით, ვნახე, რომ ადამი ნამდვილ კარგად იყო მომზადებული. ვნახე და მაშინვე გადავწყვიტე პირველი ცდიდან ფსიქოლოგიურად დამეძლია მეტოქე. უნდა გითხრათ, რომ მანამდე მთელი ძალით არ ვჭრიდი ბირთვს. როგორც ბევრ ჩემს კოლეგას, მარჯვენა, „მუშა“ ხელის მტევანი მტკიოდა (დიდი დატვირთვისგან). მიუხედავად ამისა, პირველივე ცდაზე რიგიანად მოვემზადე და კარგი შედეგიც მოვიპოვე — 19,41 მეტრი. ადამი დაიბნა და უკვე უაზარტოდ გამოვიდა სარბიელზე.

● **რამდენიმე სიტყვა მომავალზეც გვითხარით. როგორ ფიქრობთ, გაუმჯობესდება თუ არა და რამდენით წავა წინ ამ ზაფხულს მსოფლიო რეკორდი?**

— მე ვფიქრობ, ამ სახეობის ყველა ცნობილმა ოსტატმა უკვე მიაღწია თავისი შესაძლებლობის მწვერვალს. ალბათ არ არის მათ შეუძლიათ რეკორდის ვაზრდა. რამდენად? ჩემი აზრით, ამ სეზონში 21 მეტრის ზღვარი მაინც გადალახავი დარჩება... ასეთ შედეგებს ახალი სპორტსმენები სჭირდება, რომლებისთვისაც 21 მეტრი ფსიქოლოგიური ზღუდე არ იქნება. ჩვენ კი მაშინ გამოვედით სარბიელზე, რომ 19 მეტრზეც ვერავინ ბედავდა ოცნებას.

● **რა შეიძლება ითქვას თქვენს მომავალ მეტოქეებზე?**

— გუმელზე, მოგეხსენებათ, ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო. იგი უწინდებურად გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია.

სპორტსმენთა ერთი ნაწილი ოლიმპიადებს შორის მშვიდ ცხოვრებას ამჯობინებს და მთავარ ამოცანად ოლიმპიურ თამაშებში წარმატების მოპოვება მიაჩნია. ასეთი სპორტსმენია გუმელიც.

მედლებისთვის დავაში უნდა ჩაებას ჩემი უფროსი მეგობარი და თანაგუნდელი ანტონინა ივანოვაც. მან საოცარი „დღეგრძელობის“ საიდუმლო იცის. — წლეულს ორმოცი წელი უსრულდება, მაგრამ პირად რეკორდებს ყოველ ტურნირში აუმჯობესებს. ბარშან ივანოვას საუკეთესო შედეგი 19,39 მეტრს უდრიდა. ეს მშვენიერი განაცხადია ოლიმპიური წარმატებისთვის. ივანოვას ბევრად არ ჩამოუვარდებიან გალინა ნეკრასოვა და ელენა კორბლიოვა. მათი პირადი მიღწევები 19 მეტრს უახლოვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინჟინერ მისკოს სნაიპერების სკოლა

„ᲛᲖᲐᲓ ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალ კომპლექსს ცეცხლის ხაზზე ხვდებიან კიევის კომკავშირული ჰიდროელექტროსადგურის ფიზკულტურელები. აქ უკვე რამდენიმე წელია პოპულარული გახდა სპორტულ-სასროლო კლუბი „სილუეტი“, სადაც ყოველწლიურად ასობით ენერგეტიკოსი მუშა ასრულებს სპორტულ თანრიგებს.

სროლის ენთუზიასტმა ა. მისკომ და მისმა ათმა მიმდევარმა კიევის მახლობლად — ძველი ვიშგოროდის უშენ ადგილზე — სნაიპერთა პირველი შეჯიბრებები ჩაატარეს. თაოსნობა იღბლიანი გამოდგა და ნაღე მსურველთა რიცხვი სამასამდე გაიზარდა. შემდეგ ინჟინერმა მისკომ კიევის ჰეს-ის ფიზკულტურულ აქტივისტებს სტაციონარული სასროლო-სპორტული კომპლექსის პროექტი შესთავაზა. აშენებდნენ სახალხო შენებლობის მეთოდით, მუშაობისგან თავისუფალ დროს.

დღეს „სილუეტი“ რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო სასროლო ტირია. ფართო, მყუდრო შენობაში იატაკი ცისფერი პლასტიკატითაა დაფარული, თვალს ხიბლავს კარგი ავეჯი, ყვავილები. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ცეცხლის ხაზები 25 და 50 მეტრზე ტექნიკის უკანასკნელი სიტყვითაა გაწყობილი.

კლუბის უფროსმა ინსტრუქტორმა და ხელმძღვანელმა ა. მისკომ შექმნა ორიგინალური ავტომატური სილუეტური დანადგარი პროგრამული მართვითა და ტელემექანიკით. გარჯიშის დროს იგი შეიძლება თვით სპორტსმენმა მართოს. თეორიული მეცადინეობებისა და საჩვენებელი გამოსვლებისთვის ხშირად იწვევენ უკრაინის მოწინავე მწვრთნელებსა და ცნობილ სნაიპერებს.

კლუბის აღსაზრდელები, რომელთა რიცხვი ათასს აღწევს, დამაჯერებლად გადიან საჩემპიონო ორბიტებზე. მოსწავლე ლ. უსაჩოვამ II საპრიზო ადგილი დაიკავა კიევის ოლქის პირველობაში, ხოლო ვ. უდოვენკო „ავანგარდის“ საოლქო საბჭოს ჩემპიონი გახდა. ჩინებულ შედეგებს აღწევენ ცეცხლის ხაზზე ელექტრომონტიორი ა. ნიკოლაენკო, ელექტროზეინკალი ნ. გრინენკო და ბევრი სხვა.

ახლახან ინჟინერ მისკოს ოჯახში პატარა სპორტული დღეობა გაიმართა. დღესასწაულის მიზეზი იყვნენ მისკოს მეუღლე ლიდია ალექსის ასული და ქალიშვილი ნატაშა. დედამ პირველი თანრიგი შეასრულა სროლაში, შვილი კი მეორეთანრიგოსანი გახდა.

Ს. ᲑᲔᲚᲝᲕᲘ.
(საკადესის კორ.).

კიევი.

კარპატეზიდან კამჩატკამდე

ᲜᲐᲘᲠᲨᲔᲠᲐᲓᲘ კარვები კარელიის ლურჯი ტბის ნაპირებზე... ბაგირით გადასვლა აქეფებულ, მშფოთვარე მდინარე ხალასზე ჩრდილოეთ იმიერბაიკალეთში... მზის ნათელი სხივებით განათებული იალბუზის თეთრი ქუდები.

ამ ფოტოსურათებსა და ნახატებს დიდხანს ათვალიერებდნენ ჩერნოვცელი მოგზაურობის მოყვარულები, რომლებმაც თავიანთ მორიგ შეკრებაზე მოიყარეს თავი. მსჯელობდნენ ქალაქის ტურისტული კლუბის მუშაობაზე, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ თავისი მეათე „დაბადების დღე“ აღნიშნა და თავისებური მილოცვა მიიღო — 1971 წლის მუშაობის შედეგებით იგი გამარჯვებულად ცნეს თავის უკრაინელ მოძმეებს შორის.

თავდაპირველად კლუბი მხოლოდ ადგილობრივი საწარმოების რამდენიმე ტურისტულ სექციას ეყრდნობოდა, ახლა კი ჩერნოვცში ძნელად თუ მოიძებნება ქარხანა, ინსტიტუტი ან ტექნიკუმი, სადაც ახლო თუ შორი მოგზაურობების მგზნებარე ენთუზიასტები არ არიან. ამ საინტერესო დასვენების მოყვარულებმა თავდაპირველად მეზობლად განლაგებული კარპატები დალაშქრეს, შემდეგ კი, როგორც იტყვიან, „ოპერატიულ სივრცეზე“ გავიდნენ. ჩერნოვცის ათასობით მცოცავებმა უკვე იმოგზაურა კავკასიაში, ტიან-შანზე, პამირზე, საიანებში... პოპულარულია ორდღიანი და ერთდღიანი ლაშქრობები კარპატებში, გასეირნება დნესტრზე, მოგზაურობა რევოლუციური და საბრძოლო დიდების ადგილებში. მარტო შარშან ამ ღონისძიებაში 70 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ამჟამად ქალაქის ტურისტული კლუბის აქტივისტები ემზადებიან მახსობრივი ასვლისთვის გოვერლუზე — მთიანი კარპატების უმაღლეს მწვერვალზე, რაც სურთ სსრ კავშირის დაარსების 50 წლისთავს მიუძღვნან. ადგილენ საზაფხულო მოგზაურობების მარშრუტებს ურალში, ალტაისა და კამჩატკაზე.

ლაშქრობებს მეთაურობენ გამოცდილი ინსტრუქტორები, რომლებიც კლუბთან შექმნილ სკოლაში არიან მომზადებული.

Ფ. ᲓᲠᲐᲩᲔᲜᲙᲝ.
(საკადესის კორ.).

ჩერნოვცი.

პატარა მარიეტას კარგი სტარტი

ᲩᲔᲩᲔᲜ-ᲘᲜᲒᲣᲨᲔᲗᲘᲡ საჭადრაკო პირველობა მოსწავლე გოგონებს შორის მოულოდნელი შედეგით დამთავრდა: ჩემპიონი გახდა 9 წლის მარიეტა მეჯოლოვა, რომელმაც „გვირგვინი“ წაართვა გაცილებით უფროსსა და გამოცდილ მოჭადრაკეს, მერვეკლასელ თ. ხაჩატუროვას (უნდა ითქვას, ამ უკანასკნელმა სოლიდური სატურნირო გამოცდილება მიიღო რსფსრ-ს პირველობის შარშანდელ ნახევარფინალში).

გროზნოს 41-ე სკოლის III კლასის მოსწავლის წარმატება მით უფრო გასაკვირია, რომ მან მხოლოდ შარშან დაიწყო მეცადინეობა რესპუბლიკური საჭადრაკო კლუბის პიონერთა სახლში.

— მარიეტა დედამ მოიყვანა ჩვენთან. მას შეუმჩნევია, რომ შინ უჯრებიან დაფაზე ბავშვი ყველა უფროსს იოლად უგებდა, — უამბო ხაკდესის კორესპონდენტს წრის ხელმძღვანელმა, ოსტატობის კანდიდატმა რ. ალიმოვმა. — მარიეტა ხუთი წლიდან თამაშობს. ჭადრაკის გარდა მუსიკა უყვარს, მუსიკალურ სკოლაში დადის. ჩემპიონატში გამარჯვება მან მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრების საგზურს მოუტანდა, ასაკი რომ არ უშლიდეს ხელს — 12 წლისა მაინც უნდა იყოს. მაგრამ მარიეტა იზრდება, წლები ემატება და შეიძლება სულ მალე ძალიან გაგვაკვიროს.

Გ. ᲜᲐᲡᲝᲜᲝᲕᲘ.
(საკადესის კორ.).

გროზნო.

ჩვენ ვწერდით, რომ კიშინიოვში, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების მშვილდოსანთა საკავშირო პირად პირველობაში, შესანიშნავად იასპარეზეს ქუთაისის პედინსტიტუტის ლაბორანტმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ქეთევან ლოსაბერიძემ და სტომატოლოგმა ჩიტის ოლქიდან, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა მ. დაბაევმა.

• • •

სურათებზე: ქ. ლოსაბერიძე და მ. დაბაევი ცეცხლის ხაზზე.

ე. მეჩნიკოვის ფოტოები (საკადესი).



პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში საწყლოსნო სპორტის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა.

სურათზე: მეგაიდარე ვარჯიშობს ქალაქ გიჟიცკოს (ოლშტინის სავოეოდო) არხზე.

საკდესის ფოტოქრონიკა.

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

„საჰაერო იერიში“

ბრაზილიის გუნდების „ატლეტიკო პარანაეზეს“ და „ხანდაიას“ მატჩის 75-ე წუთზე მსაჯმა მორეირამ მოულოდნელად ერთი მაგრად დასტვინა და მინდორზე გაიშლართა. იმავე წამს ოცდაორივე ფეხბურთელი მიწაზე დაეფინა. თურმე უველაფერი ფუტკრების ბრალი იყო, რომლებიც ღრუბელივით მოეფინენ მინდორს. კიდევ კარგი, სტადიონის ერთ-ერთმა მუშაკმა მოიფიქრა, გაზეთებს ცეცხლი წაუკიდა და მინდორზე გადმოხტა. ფუტკრებმა თავს უშველეს. მატჩი გაგრძელდა. მარტო ერთი ფეხბურთელი დაშავდა—დაცემის დროს ცხვირი გაიტეხა.

მლეგავი-თავდამსხმელი

„სან კრისტოვალ“ ერთ-ერთი საწვრთნელი მეცადინეობის დროს მწვრთნელმა ორმხრივი თამაშის ჩატარება გადაწყვიტა, მაგრამ მინდორზე მხოლოდ ოცდაერთი ფეხბურთელი იყო. მწვრთნელმა მიიხედ-მოიხედა და მლეგავს დაუძახა, რომელიც ტრიბუნებს ღებავდა. სამი კვირის შემდეგ მლებავმა ხორხე კოსტამ პირველი გოლი გაიტანა ბრაზილიის ლიგის ჩემპიონატში. მწვრთნელი ამტკიცებს, რომ ახალბედა დიდ იმედებს იძლევა და ღმერთს მადლობას უძღვნის ამ „აღმოჩენისთვის“.

საპარლამენტო... ფეხბურთი

საფეხბურთო მატჩები გფრ-ის ბუნდესტაგისა და ავსტრიის ეროვნული საბჭოს გუნდებს შორის ტრადიციად იქცა. მათი მორიგი შეხვედრა ამ დღეებში ვენაში მოეწყო.

საფეხბურთო მინდორზე მოთამაშეთა განლაგება დეპუტატებმა პოლიტიკურ ორიენტაციას არ გამოხატავდაო, ირონიით აღნიშნავენ ავსტრიის გაზეთები.

ამ მატჩშიც კი დამტკიცდა ცნობილი თეზისი: სპორტი მსხვერპლს მოითხოვს. ავსტრიის პარლამენტის დეპუტატს ოფენბეკს — გუნდის მთავარ შემტევ ძალას— მატჩში სათამაშოდ თავისი ცოლის საგანგებო თანხმობა დასჭირდა (ამ შეხვედრის გამო მათი „ვერცხლის ქორწილი“ გადაიდო). მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა: სტუმრებმა მინდვრის მასპინძლები ყოველმხრივ დაჯაბნეს და გაიმარჯვეს — 8:1.

საჯარო ოტკიოსრობს

ფეხბურთის მინდვრებზე

სტოკჰოლმი, 26 მაისი. მსოფლიო ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფის გუნდების მორიგ მატჩში შვეციისა და უნგრეთის ნაკრებმა კოლექტივებმა ერთმანეთის კარში გოლი ვერ გაიტანეს — 0:0. ამ ჯგუფში ლიდერობას ინარჩუნებენ უნგრელები, რომელთაც 5 ქულა აქვთ სამი თამაშის შემდეგ.

* * *

ტოკიო, 26 მაისი. ბრაზილიის „სანტოსმა“ ამხანაგური მატჩში ანგარიშით 3:0 (1:0) დაამარცხა იაპონიის ნაკრები.

ოლიმპიური სტადიონის გახსნის დღეს

26 მაისს მიუნჰენში (გფრ) ახალი ოლიმპიური სტადიონი ოფიციალურად გაიხსნა. ამ საზეიმო დღის აღსანიშნავად აქ შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

მატჩის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა მასპინძელთა ერთგვარი უპირატესობით. მათს თამაშში შესამჩნევი იყო მეტი კოლექტიურობა და რგოლების უკეთესი ურთიერთმოქმედება. შეხვედრების შემდეგ ეს უპირატესობა მძლავრ შტურმში გადაიზარდა. გერმანელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ვუნდის კაპიტანი ბეკენბაუერი, თავდამსხმელები ნეცერი, ჰიონსი და შექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის პირველი სნაიპერი, ცენტრალური ფორვარდი მიულერი, რომელმაც 3 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. კიდევ ერთი გოლი გაიტანა ჰიონსმა. ამ ოთხ გოლს საბჭოთა ფეხბურთელებმა მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხეს (კოლოტოვი). მატჩი მოიგო გფრ-ის ნაკრებმა — 4:1 (0:0).

სსრ კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, აბრამოვი, ისტომინი (მატვიენკო), ტროშკინი, კოლოტოვი, კონკოვი (მუნტიანი), კოპეიკინი, ბანიშევსკი, კოზინკევიჩი.

სარეკორდო შედეგები

14-21 მაისს ჩუვეთის რაიონში ჩატარდა შეჯიბრება სისწრაფის რეკორდების დასამყარებლად საავტომობილო და სამოტოციკლო სპორტში.

მრბოლელებს ორი დისტანცია უნდა გავლოთ — 500 და 1000 მეტრი ადგილიდან სტარტით.

500 მ-ზე სისწრაფის საკავშირო რეკორდები დაამყარეს: 350 კგ სმ-მდე კლასის მანქანით ვ. ლორენტმა — 100,503 კმ საათში, და ვ. კაპშეკვამ 5000 კგ სმ მანქანით — 109,091 კმ საათში. ორივე მრბოლელი ხარკოვის „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელია.

1000 მეტრზე სარეკორდო შედეგები მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. ტიხომიროვმა (ბოსკოვი, დოსაფი). იგი გაზტურბინის 500 კგ-მდე კლასის მანქანა „პოლერ-2 მ“-ით გამოდიოდა (ამ ტიპის ავტომანქანებისთვის შემოღებულია კლასიფიკაცია საკუთარი წონის მიხედვით).

ამავე დისტანციაზე საკავშირო რეკორდი დამყარდა მოტოსპორტში: სპორტის ოსტატმა ა. შირიაევმა (ხარკოვი, „შრომითი რეზერვები“) 125 კგ სმ-მდე კლასის მოტოციკლით საათში 103,24 კმ განავითარა.

სსრ კავშირში პირველად მოეწყო სარეკორდო სერიები აკუმულატორული ელექტრომობილით, რომელიც ხარკოვის უტოსაგზაო ინსტიტუტშია შექმნილი. ამ სახეობის ავტომობილისთვის საკავშირო სარეკორდო ნორმატივები ჯერ არ არის დადგენილი და ამიტომ იგი საერთაშორისო მიღწევის ტოლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საზღვარგარეთელთა მიღწევებს ამ მანქანით ნაჩვენები შედეგები ვერ გაუტოლდა, თუმცა საკმაოდ მაღალი კი იყო. მაგალითად, 1000 მეტრზე ი. სტეპჩენკომ საათში 94,664 კმ აჩვენა.

თავზე ხელაღებული „მხედარი“

„ახალბედებმა თავი შეიკავეთ!“ — ასე ურჩევს თავის მკითხველებს პარიზის გაზეთი „ფრანს-სუარი“, რომელიც ამ სურათს ბეჭდავს. სამოტოციკლო აკრობატიკაში მსოფლიო ჩემპიონს, 18 წლის ფრანგ შარლ კუტარს ეს გაფრთხილება, ცხადია, არ ეხება. ამ თავბრუდამხვევი ნომრით იგი არა მარტო მოტოციკლის შესაძლებლობებს ცდის, არამედ „რენო-17“-ის კაპოტსაც. „შიშის საზღაურზე“ გაზეთი არაფერს იუწყება.

ᲐᲡᲢᲠᲘᲓ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ-72

● **ვარშავა.** 26 მაისი. საბჭოთა იუნიორების დამაჯერებელი გუნდური გამარჯვებით აღინიშნა აქ დამთავრებული საერთაშორისო შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში. საბჭოთა სპორტსმენებს გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ პოლონეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. საბჭოთა გუნდმა 15049 ქულა დააგროვა. II ადგილზე გავიდნენ პოლონელები, III — უნგრელები. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა პოლონელმა სკვირამ — 5237 ქულა. მომდევნო სამ ადგილზე საბჭოთა ხუთჭიდელები არიან: სტეპუკოვი (5057 ქულა), ტამსაარი (5036) და ნიკიტინი (4949).

● **ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲐᲕᲐ, 26 მაისი.** სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა თავისი იაპონური ტურნეს მეხუთე მატჩი დღეს ამ ქალაქში გამართა. იგი იაპონიის ნაკრებს შეხვდა და დამარცხდა ანგარიშით 0:3 (9:15, 3:15, 5:15).

● **ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲘ,** *26 მაისი.* ვილნიუს — კაუნასის ავტოსტრადაზე სტარტი მიეცა მეხუთე საერთაშორისო ველორბოლას, რომელშიც 20 გუნდის 117 სპორტსმენი მონაწილეობს. შეჯიბრებაში უკონკურსოდ გამოდის სსრ კავშირის ორი ოლიმპიური ნაკრები. ბრძოლა 100-კილომეტრიანი გუნდური რბოლით დაიწყო. ერთდღიანი შესვენების შემდეგ მოასპარეზეები ქალაქის ქუჩებში გამართავენ 85-კილომეტრიან წრიულ რბოლას (კრიტერიუმი). მესამე ეტაპია 40-კილომეტრიანი ჯგუფური რბოლა და დაყოფილი სტარტით ინდივიდუალური შეჯიბრება 40 კილომეტრზე.

ᲐᲡᲢᲠᲘᲓ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ-72

ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ აღბეჭდილია ცნობილი ინგლისელი ტელე- და კინოვარსკვლავი, 24 წლის ნატაშა პაინი „უაიტ რიბონ ლეიდის“ ქალთა საფეხბურთო გუნდისა და პრესის ასოციაციის ვაჟთა გუნდთან შეხვედრის დაწყებამდე. მატჩი ლონდონის „ლაჩმერ ავენიუ გრაუნდის“ მინდორზე მოეწყო. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდების პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. ეს განსაკვირი არ უნდა იყოს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქალთა გუნდი ძალიან ბრძოლისუნარიანია, ხოლო თვით ნატაშა პაინს ძიუდოში „ყავისფერი სარტყელი“ აქვს მოპოვებული და მამაკაცი ფეხბურთელები მას დიდი სიფრთხილით ეპყრობიან. მატჩების შემოსავალი ლეიკემიის წინააღმდეგ ბრძოლას ხმარდება.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

მოსწავლეთა რესპუბლიკური...

საზეიმოდ გაიხსნა

თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშის სპორტსკოლის დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა მოსწავლეთა XXIV რესპუბლიკური სპარტაკიადა. ალლუმის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, რომელმაც შეკრებილ ნორჩებს სწავლასა და სპორტულ სარბიელზე წარმატება უსურვა. ალიმართა ასპარეზობის ალამი. შემდეგ მთავარმა მსაჯმა, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. მერკვილაძემ სპარტაკიადა გახსნილად გამოაცხადა.

ფეხბურთელთა შეჯიბრების II ტურში თბილისელებმა დაამარცხეს აფხაზეთის ნაკრები — 1:0. ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვეს ქუთაისელებმა ფოთელებთან შეხვედრაში. აჭარისა და გორის გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ხელბურთელთა შეჯიბრების II ტური ასეთი შედეგებით აღინიშნა: გ ო გ ო ნ ე ბ ი. აფხაზეთი — ფოთი 13:10, თბილისი — რუსთავი 18:10, ქუთაისი — აჭარა 17:14; ჭ ა ბ უ კ ე ბ ი. ქუთაისი — აჭარა 31:17, თბილისი — ფოთი 27:18, აფხაზეთი — სამხრეთ ოსეთი 33.18.



• • •

ს უ რ ა თ ზ ე: სპარტაკიადის საზეიმო გახსნის მომენტი.

ი. იუნაევის ფოტო.

მეორე ტირაჟის შემდეგ

თბილისელებმა „სპორტლოტოს“ ეს უკვე მეორე ტირაჟში მიიღეს მონაწილეობა და ახლაც არანაკლები წარმატება მოიპოვეს. ამჯერად ჩვენი ქალაქის ორმა მცხოვრებმა ამოიცნო სპორტის 5 სახეობა და თითოეული 2564 მანეთს მიიღებს.

სამაგიეროდ, ახლა გაცილებით მეტმა მონაწილემ ამოიცნო სპორტის სამი და ოთხი სახეობა. ოთხი ნომერი დაემთხვა 159 ბარათზე, რომელთა მფლობელნიც 56-56 მანეთს მიიღებენ. სამი სახეობა ამოიცნო 3181 კაცმა, რომელთაგან თითოეულს 4 მანეთი ხვდა.

სხვათა შორის, ჩვენი ქალაქის „რეკორდი“, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მუშაკს ბ. რუხაძეს ეკუთვნის, უცვლელი დარჩა — 2820 მანეთი ხუთ ბარათში.

ახლანდელ ტირაჟში გამარჯვებული — „ხილბოსტანვაჭრობის“ მუშაკი გ. გამყრელიძე, რომელმაც ერთ ბარათზე 5, სამ დანარჩენზე კი 4-4 სახეობა ამოიცნო, საბოლოო ჯამში 2732 მანეთს მიიღებს.

... ამ დღეებში თბილისელები ალბათ მიაქცევდნენ ყურადღებას ერთ სიახლეს — სხვა ფერის ბარათებს, რომლებიც ძირითადთან ერთად იყიდებოდა. ეს გახლავთ სარეზერვო ბარათები, რომლებსაც სპორტული ლატარიის მთავარი სამმართველო უშვებს საჭიროების მიხედვით.

იმასთან დაკავშირებით, რომ მე-15 ტირაჟის ყველა ბარათი სამ დღეში გაიყიდა, მოთხოვნილება კი გაცილებით დიდი იყო, „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალურმა სამმართველომ გადაწყვიტა სარეზერვო ბარათებიც გაეყიდა. ეს ბარათი ჩვეულებრივისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ტირაჟის ნომერი და თარიღი არ არის დაბეჭდილი. ამას სამმართველოს მუშაკები აწერენ გაყიდვის წინ. სხვა მხრივ მთლიანად „სპორტლოტოს“ საერთო წესები უნდა იქნეს დაცული.

გაცნობებთ, რომ მორიგი, მე-15 ტირაჟი 30 მაისს სვერდლოვსკში მოეწყობა.

ცისფერ ეკრანზე მიხეილ ხერგიანი

მისი სახელი ლეგენდად დარჩა სპორტში, მიუვალი მთების ლეგენდად, რომელმაც შთამომავლობას მეგობრობა და კაცის სიყვარული უნდა ასწავლოს. ადამიანს, კლდეებსა და ღრუბლებში დამალულ მწვერვალებს რომ ეჭიდება, მხოლოდ აზარტი და რისკის სიყვარული როდი ამოქმედებს. ხან იცის, კარგად იცის, რომ იქ, სადაც თოვლი სპეტაკია და ხელშეუხები, ჰაერი გამჭვირვალე, მზის სხივი კი ველური და პირველყოფილი — ურთიერთობა ადამიანებს შორის წმინდაა და შეუბღალავი. და მიდის მთაში, რომ დროებით გაემიჯნოს ცხოვრების ყოველდღიურობას, ერთხელ კიდევ გამოცადოს თავისი თავი და მეკობარი ბუნებასთან ბრძოლაში. იგი მთაში მიდის, მაგრამ ფეხი მაინც მიწაზე აქვს, როგორც ამ ქვეყნის ჭეშმარიტად ღირსეულ წარმომადგენელს.

მთაში დაბადებულთა და გაზრდილთა სიცოცხლე მთასვე მიაქვს ალბათ იმიტომ, რომ მთასაც მხოლოდ ღირსეულები უყვარს. მიხეილ ხერგიანისა და მისი თანამეკვლეების მთელი ცხოვრება ვაჟკაცობის დიდებული ჰიმნია, რომელიც თაობიდან თაობებს გადაეცემა, როგორც ადამიანური ურთიერთობის წმიდა სიმბოლო.

საქართველოს ტელეფილმების სტუდიამ სასარგებლო და სასახელო საქმე გააკეთა — შექმნა ლამაზი ფილმი დაუვიწყარ მიხეილ ხერგიანზე. ძნელია არ აღელდე, ცრემლი არ მოგერიოს, როცა ეკრანზე უყურებ გაცოცხლებულ „კლდის ვეფხვს“, მსუბუქად რომ დააბიჯებს უძირო ნაპრალებზე და თავისი გულმდები სიხალისით, უბრალოებითა და ადამიანურობით სხვებიც თან მიჰყავს. უყურებ და გჯერა, რომ მიხეილ ხერგიანი მართლაც განუმეორებელი მოვლენა იყო მთამსვლელობაში.

ჩვენ, ვისთვისაც ძვირფასია ამ შესანიშნავი ქართველის ცხოვრება, უღრმეს მადლობას ვუხდით საქართველოს ტელეფილმების სტუდიას და ფილმის შემქმნელს — სცენარისტსა და რეჟისორს თ. ნოზაძეს, რომელმაც გადაგვიშალა ამ დიდებული ვაჟკაცისა და მისი მეგობრების ცხოვრების ფურცლები.

ძვირფასო ტელემაყურებლებო, იცოდეთ, რომ ამ ფილმის ნახვა ცისფერ ეკრანებზე შეიძლება დღეს 20 საათსა და 50 წუთზე.

ნ. ბუზუზვილი.

ამოცანა

ზ. ამირხანოვი (ხაშური)



შამათი სამ სვლაში

დარჩა 3 ტური

მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში დასკვნითი 3 ტურის წინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ე. უბილავამ (თბილისი) გამოიყენა მატერიალური უპირატესობა ნ. ნეურონოვთან (ბათუმი) პარტიაში და გაიმარჯვა. ზ. მიქაძემ (გუდაუთა) წააგო მ. არჩვაძესთან (სამტრედია), ა. ბალავაძემ (რუსთავი) — გ. ბიბილაშვილთან (გარდაბანი), რ. დადიანმა (სოხუმი) — ლ. კერნაჟიცკისთან (ბათუმი).

14 ტურის შემდეგ თ. გიორგაძეს 11,5 ქულა აქვს. 9,5-9,5 ქულა მოაგროვეს დ. ჯანოევმა (ორივე — თბილისი) და უბილავამ.

საინტერესოა, ვის ხვდებიან შეჯიბრების ლიდერები ბოლი სამ ტურში. გიორგაძის მეტოქენი იქნებიან ა. ბუხლაევი, ე. მიქაელიანი (ორივე — თბილისი) და ნეურონოვი; უბილავა შეხვდება ბუხლაევს, მიქაელიანსა და კერნაჟიცკის; ჯანოევი ეთამაშება მიქაელიანს, კერნაჟიცკისა და ბიბილაშვილს.

შეამოწმეთ თქვენი ამოხსნა

„ლელოს“ 14 მაისის ნომერში დაბეჭდილი ფ. მამულიას ამოცანა სწორად ამოხსნეს: ნ. ერემაძემ, ვ. ხელაძემ (ორივე — თბილისი), მ. კურტანიძემ (დაბა ორჯონიკიძე, ორჯონიკიძის რაიონი), ნ. ხარაიშვილმა (სოფ. ლიჩი, საჩხერის რაიონი), ლ. ხუნწელიამ (წულუკიძე), ე. ჭუმბურიძემ (სოფ. ზედა სიმონეთი, თერჯოლის რაიონი).

ამოცანის ამოხსნაა მძ6.

გასწორება

„ლელოს“ წინა ნომერში მე 4 გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში „ახალი ამბები-72“ ბოლოდან პირველი აბზაცის პირველი ორი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე:

● ვოროშილოვგრადი, 25 მაისი. ადგილობრივი „ავტომობილისტის“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა ორჯერ ხძლია მოსკოვის „აეროფლოტს“ და მინს- და შემდეგ როგორც ტექსტშია.

საჭადრაკო კომპოზიციის მოყვარულთა საყურადღებოდ!

„ლელოს“ 21 მაისის ნომერში გამოქვეყნებული ვ. კალანდაძის ეტიუდი სწორი არ გამოდგა: ავტორის ჩანაფიქრით, კომპოზიციაში თეთრები იწყებენ და იგებენ, მაგრამ თბილისელმა მკითხველმა ვ. მანჯავიძემ შავების მხრიდან ყაიმის გზა აღმოაჩინა. ავტორმა შეასწორა თავისი ეტიუდი, რომელსაც ამოსახსნელად გთავაზობთ.

თეთრები: მფh1, ეe1, პპ:a5, c4, f7.

შავები: მფf4, ეc2, ეc8, პh3.

თეთრები იგებენ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზაზე

ფეხბურთი. ვარკეთილის სტადიონი. 28 მაისი. საქართველოს პირველობა. „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი). დასაწყისი 17 ს.

თბილისის სპორტულ ბაზაზე

უმაღლესი ლიგა

ცვლილებანი კალენდარში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ მორიგი ცვლილებანი შეიტანა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარში. „ზენიტი“ და კიევის „დინამო“ 29 მაისის ნაცვლად ითამაშებენ 2 ივლისს, ხოლო მინსკის „დინამო“ და „ზენიტი“ — 3 ივნისის ნაცვლად 4 ივნისს.

II ლიგა III ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ყუბანი“ (კრასნოდარი)	8	5	2	1	14—1	12
„მეტალურგი“ (ლიპეცკი)	7	4	3	0	9—2	11
„მერცხალი“ (მახარაძე)	7	5	0	2	9—5	10
„დრუჟბა“ (მაიკოპი)	7	3	3	1	6—2	9
„სალუტი“ (ბელგოროდი)	8	3	3	2	7—6	9
„დინამო“ (ბათუმი)	6	3	2	1	8—5	8
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	7	2	4	1	9—7	8
„დილა“ (გორი)	8	3	2	3	7—6	8
„მაშინოსტროიტელი“ (პოდოლ.)	7	3	2	2	6—5	8
„კოლხეთი“ (ფოთი)	7	2	3	2	7—7	7
„ზვეზდა“ (ტირასპოლი)	7	3	1	3	5—5	7
„დინამო“ (სოხუმი)	7	2	3	2	6—8	7
„დინამო“ (ბრიანსკი)	7	3	1	3	8—12	7
„კალიტვა“ (ბელაია კალიტვა)	8	2	2	4	7—8	6
„გურია“ (ლანჩხუთი)	7	2	1	4	10—11	5
„ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი)	7	1	3	3	4—9	5
„მეტალურგი“ (რუსთავი)	7	2	1	4	5—11	5
„სპარტაკი“ (ორიოლი)	8	0	3	5	4—10	3
„შრომითი რეზერვები“ (კურსკი)	8	0	3	5	3—14	3

მეორე დღეს...

აჭარის დედაქალაქის თასის გათამაშებამ 16 კოლექტივს მოუყარა თავი.

ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს მანქანათმშენებელი ქარხნისა და ფეხსაცმლის ფაბრიკის ფეხბურთელებმა. გამარჯვებული ვერ გამოავლინა ვერც ძირითადმა, ვერც დამატებითმა დრომ — 2:2.

მეტოქეებს მეორე დღეს მოუხდათ ბრძოლის გაგრძელება. ამჯერად წარმატება მანქანათმშენებელი ქარხნის გუნდს ხვდა — 1:0.

ო. მურვანიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

გაიმარჯვეს გაგრელებმა

სოხუმის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა აფხაზეთის პირველობის ფინალური შეხვედრა მოზარდ ფეხბურთელთა სპორტსკოლების გუნდებს შორის. გადამწყვეტ მატჩში ბრძოლის უფლება მიიღეს გაგრისა და ოჩამჩირის გუნდებმა.

გაგრელებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 ეს გუნდის დიდი წარმატებაა, რაც თვით ფეხბურთელთა გარდა გაგრის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორის ზ. ლაკობასა და მწვრთნელ რ. წოწორიას დამსახურებაა.

გ. კოლხიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

სოხუმი.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 02594